სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა და მისი გავლენა ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ნიკა ქეშელაშვილი

ნაშრომი წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი

ნათია ვაჩეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

სარჩევი

ანოტაცია 3

Annotation..... 5

შესავალი 7

თავი I. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის თეორიული და საკანონმდებლო საფუძვლები 13

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ცნება და მიზნები..... 13

1.2. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი პრინციპები და სტანდარტები..... 16

1.3. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო..... 20

1.4. ციფრული პლატფორმები და ინოვაციები სახელმწიფო შესყიდვებში 23

თავი II. სახელმწიფო შესყიდვები და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში. 30

2.1. მცირე და საშუალო ბიზნესის (MSB) ჩართულობის როლი სახელმწიფო შესყიდვებში. 30

2.2. სახელმწიფო შესყიდვები და კერძო სექტორთან პარტნიორობა 36

2.3. სახელმწიფო შესყიდვების გავლენა ინოვაციებზე და სექტორულ დივერსიფიკაციაზე 39

2.4. რისკები, გამოწვევები და კორუფციის წინააღმდეგ მექანიზმები 42

თავი III. კვლევის შედეგები და ანალიზი..... 45

დასკვნა და რეკომენდაციები..... 55

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა..... 58

დანართი..... 61

ანოტაცია

ნაშრომში "სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა და მისი გავლენა ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში" გამოკვლეულია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის არსებული სამართლებრივი, ინსტიტუციური და პრაქტიკული საფუძვლები, აგრეთვე მათი ზეგავლენა კერძო სექტორის განვითარებაზე. ნაშრომი მიზნად ისახავს იმ ეკონომიკური და ადმინისტრაციული ფაქტორების ანალიზს, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ეფექტიანობას საქართველოში და მისი გავლენას მცირე და საშუალო ბიზნესის, ინოვაციების და სექტორული დივერსიფიკაციის მიმართულებით.

მკვლევარმა წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს ევოლუცია საქართველოში, 2010 წლიდან მოქმედი საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში. ნაჩვენებია, რომ მიუხედავად სამართლებრივი ჰარმონიზაციისა საერთაშორისო სტანდარტებთან, პრაქტიკაში ჯერ კიდევ ხშირია ისეთი პრობლემები, როგორიცაა კორუფციული რისკები, არათანაბარი კონკურენცია და რეგიონული უთანასწორობა. ლიტერატურული მიმოხილვის საფუძველზე განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვების თეორიული პრინციპები, როგორიცაა გამჭვირვალობა, კონკურენცია და თანასწორობა, რომელთა რეალიზაციაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სისტემის ეფექტიანობისთვის.

ნაშრომის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს რაოდენობრივი კვლევა, რომელიც განხორციელდა 100 ბიზნეს წარმომადგენლის გამოკითხვის გზით. შედეგებმა ცხადყო, რომ მხოლოდ 15% მონაწილეობს რეგულარულად სახელმწიფო შესყიდვებში, ხოლო 35% მთავარ დაბრკოლებად ასახელებს ბიუროკრატიულ სირთულეებსა და რთულ პროცედურებს. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გამჭვირვალობის აღქმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის ნდობასა და აქტივობაზე, რაც დადასტურდა სტატისტიკური ანალიზებით – მათ შორის ქაი-კვადრატით, სპირმანის კორელაციით და ლოგისტიკური რეგრესიით. ლინიერ რეგრესიაში ყველაზე ძლიერ ფაქტორად გამოიკვეთა გამჭვირვალობის ხარისხი ($\beta=0.47$, $p=0.002$), რაც მიანიშნებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

ნაშრომის ფარგლებში ნათლად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მნიშვნელოვანი გავლენის მქონეა ბიზნესის განვითარებაზე, თუმცა ამავდროულად საჭიროებს რეფორმების გაგრძელებას და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესებას. გამოკითხვის შედეგები დაემთხვა საერთაშორისო ლიტერატურის მიგნებებს, კერძოდ OECD-ისა და World Bank-ის ანგარიშებს, რომლებიც ხაზს უსვამენ სისტემური ცვლილებების აუცილებლობას ბიზნესის ჩართულობის გასაზრდელად.

მკვლევარი ასკვნის, რომ ჰიპოთეზა – რომლის თანახმადაც მოქნილი, კონკურენტული და გამჭვირვალე შესყიდვების სისტემა ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას – ნაწილობრივ დადასტურდა. კერძოდ, გამოკვეთილი გახდა, რომ გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა მნიშვნელოვანწილად აძლიერებს კერძო სექტორის ნდობას და ზრდის მისი მონაწილეობის მოტივაციას. თუმცა, აუცილებელია დამატებითი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ნაბიჯები კონკურენციის გასაზრდელად და რეგიონული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

ნაშრომი ასკვნის, რომ სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა უნდა გახდეს არა მხოლოდ ბიუროკრატიული მექანიზმი, არამედ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ბერკეტი. ამისათვის საჭირო არის პროცედურების გამარტივება, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ინოვაციების ხელშეწყობა ტენდერის პირობებში. მხოლოდ ამ პირობების შესრულებისას შეიძლება სახელმწიფო შესყიდვები იქცეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულატორად და კერძო სექტორის გრძელვადიანი განვითარების საფუძვლად.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, ბიზნესის განვითარება, გამჭვირვალობა, კონკურენცია, ინსტიტუციური რეფორმა, მცირე და საშუალო ბიზნესი, ინოვაციები, საქართველო.

Annotation

The paper "Public Procurement Policy and Its Impact on Business Development in Georgia" examines the current legal, institutional and practical foundations of the public procurement system, as well as their impact on the development of the private sector. The paper aims to analyze the economic and administrative factors that determine the effectiveness of public procurement policy in Georgia and its impact on small and medium-sized businesses, innovation and sectoral diversification.

The researcher presented the evolution of the legal framework of the public procurement system in Georgia, within the framework of the legislative framework in force since 2010. It is shown that despite legal harmonization with international standards, problems such as corruption risks, unequal competition and regional disparities are still common in practice. Based on the literature review, theoretical principles of public procurement, such as transparency, competition and equality, were identified, the implementation of which is an important prerequisite for the effectiveness of the system.

An important component of the paper is a quantitative study conducted through a survey of 100 business representatives. The results revealed that only 15% regularly participate in public procurement, while 35% cite bureaucratic difficulties and complex procedures as the main obstacle. The study also showed that the perception of transparency has a significant impact on business confidence and activity, which was confirmed by statistical analyses - including chi-square, Spearman correlation and logistic regression. In linear regression, the degree of transparency was identified as the most strongly explained explanatory factor ($\beta=0.47$, $p=0.002$), which indicates its special importance.

The study clearly shows that the public procurement system has a significant impact on business development, but at the same time requires continued reforms and improvement of institutional mechanisms. The survey results are consistent with the findings of international literature, in particular OECD and World Bank reports, which emphasize the need for systemic changes to increase business involvement.

The researcher concludes that the hypothesis – according to which a flexible, competitive and transparent procurement system promotes business development – has been partially

confirmed. In particular, it has become clear that increasing transparency and access to information significantly strengthens the trust of the private sector and increases its motivation to participate. However, additional legislative and administrative steps are necessary to increase competition and eliminate regional disparities.

The paper concludes that public procurement policy should become not just a bureaucratic mechanism, but a strategic lever for economic development. This requires simplifying procedures, increasing access for small and medium-sized businesses, and promoting innovation under tender conditions. Only when these conditions are met can public procurement become a stimulator of the country's economic development and the basis for the long-term development of the private sector.

Keywords: public procurement, business development, transparency, competition, institutional reform, small and medium-sized businesses, innovations, Georgia.